

# ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი

## მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია - Rec(2005)3 წევრი სახელმწიფოების მიმართ საზღვრისპირა რეგიონებში საზღვრისმიდმა რეგიონის ენების სწავლების თაობაზე

*(მიღებულია 2005 წლის 2 თებერვალს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა  
მოადგილეების 913-ე სხდომაზე)*

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის თანახმად,

ვენაში, 1993 წლის 9 ოქტომბერს ხელმოწერილი, ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო მეთაურებისა და მთავრობების დეკლარაციის, უფრო კონკრეტულად კი შემდეგი განცხადების: “ტოლერანტული და მდიდარი ევროპის შექმნა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობაზე არ არის დამოკიდებული, არამედ, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობას მოითხოვს თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის რაიმე საფრთხის შექმნის გარეშე” გათვალისწინებით;

1989 წლის 6 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მე-40 საიუბილეო თარიღზე მიღებული “ევროპაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ” მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის გათვალისწინებით;

1954 წლის 19 დეკემბერს მოწერილი ევროპის კულტურული კონვენციის გათვალისწინებით;

1980 წლის 21 მაისს ხელმოწერილი ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპის სახელმძღვანელო კონვენციისა და 1995 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილი მისი დამატებითი პროტოკოლისა და 1998 წლის 5 მაისს ხელმოწერილი მისი №2 პროტოკოლის გათვალისწინებით;

1992 წლის 5 ნოემბერს ხელმოწერილი რეგიონული თუ უმცირესობათა ენების შესახებ ევროპის ქარტიის, კონკრეტულად კი მისი 14-ე მუხლის გათვალისწინებით;

1998 წლის 17 მარტს მიღებული თანამედროვე ენების შესახებ მინისტრთა კომიტეტის No. R (98) 6 რეკომენდაციის გათვალისწინებით;

ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მუდმივმოქმედი კონფერენციის ევროპულ სასაზღვრო რეგიონებს შორის თანამშრომლობის შესახებ №165 (1985) რეზოლუციის გათვალისწინებით, რომელიც კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეკრულების მოდელის შექმნას მოითხოვს;

რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სკოლების ტრანსსასაზღვრო და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის 259(1994) რეზოლუციის გათვალისწინებით;

ითვალისწინებს რა, რომ კარგი სამეზობლო ურთიერთობები უფრო თავისუფალი და ტოლერანტული ევროპის შექმნის საფუძველია, რაც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიული სტაბილურობის გასამყარებლად;

აღნიშნავს რა, რომ ბევრ მოსახლურ რეგიონში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ენობრივი და კულტურული სხვაობა აბრკოლებს;

ითვალისწინებს რა ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ენის სწავლების სფეროში მიღწევების სარგებელს;

ხაზს უსვამს რა მთელს ევროპულ კონტექსტში მრავალენოვანობის წახალისებისთვის ენის შესწავლის დივერსიფიცირებისა და უფრო ინსტენსიური გახდომის სტრატეგიის შემუშავების პოლიტიკურ მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს კავშირებსა და ურთიერთგაცვლით პროგრამებს და ახალი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას შეუწყობს ხელს;

სურს რა ევროპის კულტურული ცხოვრების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების შენარჩუნება და მეტად განვითარება ეროვნული, რეგიონული და უმცირესობათა ენების უკეთ ცოდნით;

იცნობს რა მოსახლურ რეგიონებს შორის საგანმანათლებლო სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილებას და ესმის რა, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას ერთიანი ევროპისთვის მოქალაქეთა მომზადების საქმეში როგორც ლინგვისტური და კულტურული მიდგომის მაგალითებს;

**წევრი სახელმწიფოების მთავრობებს რეკომენდაციას უწევს:**

- ა. ენისა და განათლების პოლიტიკის შემუშავებისას მრავალენოვანი განათლების პრინციპი გამოიყენონ, კონკრეტულად კი სასაზღვრო რეგიონებში სასწავლო დაწესებულებების ყველა დონეს შეუქმნან პირობები დაიცვან ან , საჭიროების შემთხვევაში, შემოიღონ და გამოიყენონ მეზობელი ქვეყნების ენები ამ ქვეყნების კულტურის სწავლებასთან ერთად, რაც ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის სწავლებასთან;
- ბ. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სხვადასხვა მოთამაშეები-მაგალითად ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფები, სავაჭრო პალატები, პროფკავშირები, დამსაქმებლები და სხვა ორგანიზაციები თუ პირები წახალისონ მათს მიერ ორგანიზებულ ან მომზადებულ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტებში განათლებისა და ლინგვისტური სექტორიც ჩართონ;
- გ. მეზობელ ქვეყანასთან თუ ქვეყნებთან სასაზღვრო რეგიონებში მეზობელი ენების სწავლებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის დროს ენების თანაარსებობა დაამკვიდრონ, სადაც ეროვნულ ენასთან ერთად, მოსახლურ ტერიტორიებში გამოყენებული სხვა ენებისთვისაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იქნება ეს ნაკლებად გავრცელებული, რეგიონული თუ უმცირესობის ენა, მოიძებნება ადგილი.
- დ. გადადგას ყველა შესაძლო ნაბიჯი ამ რეკომენდაციის დანართში მოცემული ზომების მისაღებად
- ე. მაქსიმალური სინერჯის მისაღწევად ამ სფეროში ითანამშრომლოს ევროპის კავშირის შესაბამის ორგანოებთან

დანართი რეკომენდაციაზე Rec(2005)3

**სასაზღვრო რეგიონებში მეზობელი ენების სწავლებისა და პოპულარიზაციისთვის მისაღები ზომები**

რეკომენდებული ზომების ადრესატი ცენტრალური ხელისუფლებებია, რომლებიც ტერიტორიული თემებისა თუ ხელისუფლებების საქმიანობისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნასა და მათი საქმიანობის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელნი. რიგ ფედერალურ სახელმწიფოში, ეს ფედერალური ხელისუფლების პრეროგატივაა და ადრესატიც ფედერალური ხელისუფლება იქნება. ცენტრალურმა ხელისუფლებებმა ეს ზომები მათს ყურადღებამდე უნდა მიიტანონ.

**ა. შესაძლო ზოგადი ზომები და პრინციპები**

- I. სამთავრობო დეპარტამენტისა ან სააგენტოს გამოყოფა მეზობელი ქვეყნების სამინისტროებთან საკონტაქტო პირის ფუნქციის შესასრულებლად სასაზღვრო რეგიონებში განათლების სფეროში თანამშრომლობასა და მეზობელი ენების სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში. ეროვნული ორგანოს დასახელება ან შექმნა, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ან სამთავრობო დეპარტამენტისა თუ სააგენტოს გამოყენება სასაზღვრო რეგიონებში ენის სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისათვის ეროვნულ დონეზე და ამ ორგანოს მხარდაჭერა რომ ითანამშრომლოს იგივე პასუხისმგებლობის მქონე ევროპულ ორგანიზაციებთან.
- II. ორგანიზაციულ და საგანმანათლებლო საკითხებზე ინფორმაციის ურთერთგაცვლელად, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მონაცემთა ბანკის შესაქმნელად, ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად და სასაზღვრო რეგიონებში ენის სწავლების ორგანიზების სახელმძღვანელოს შესაქმნელად ამ ეროვნული ორგანოების ევროპული ქსელის შექმნის ხელშეწყობა
- III. საგანმანათლებლო სისტემაზე და პოლიტიკაზე ინფორმაციის გასაცვლელად, მეზობელი ენების სწავლების ერთობლივი პროგრამებისა და პოლიტიკის გასატარებლად და განათლების სფეროში თანამშრომლობის მიზნით მეზობელ ქვეყნებთან დიალოგის წამოწყება ან გაგრძელება. ასეთმა პროგრამებმა საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა უნდა მისცეს ჩამოაყალიბონ გრძელვადიანი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, წამოიწყონ სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრებისა და მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შემსწავლელი საგანმანათლებლო პროექტები, გაზარდონ ტრანსსასაზღვრო გაცვლითი პროგრამებისა და ვიზიტების რაოდენობა და შეუმუშავონ სპეციალური სასწავლო მასალები.
- IV. ადგილობრივი და რეგიონული საგანმანათლებლო საბჭოების წახალისება კონტაქტები დაამყარონ თავიანთ საზღვრისმიდმა კოლეგებთან, გაცვალონ ცოდნა და გამოცდილება, ითანამშრომლონ და შეამცირონ სხვაობა ადმინისტრაციულ მოწყობასა და განათლების ორგანიზების საკითხებში.
- V. საჭიროების შემთხვევაში, მეზობელი ენების სწავლებისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიასთან, გეოგრაფიასთან და კულტურასთან დაკავშირებული საგნების სასაზღვრო რეგიონების საგანმანათლებლო

დაწესებულებების სასწავლო გეგმებსა და სილაბუსებში შეტანის ნებართვა და შესაბამისი სასწავლო საილუსტრაციო საშუალებების შემუშავება.

- VI. არსებული ევროპული პროგრამებით განპირობებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასაზღვრო რეგიონებში საგანმანათლებლო მობილობისთვის, მათ შორის, მოსწავლეთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები და ვიზიტები მეზობელ ქვეყნებში, სამართლებრივი პირობების გაუმჯობესება და დამკვიდრება, ადმინისტრაციული პროცედურების მინიმუმამდე დაყვანით რათა ხელი არ შეეშალოს ამ მობილობას.
- VII. საკუთარ ქვეყნებში კვალიფიციური მასწავლებლებისთვის თავიანთი პროფესიების ნაწილობრივ ან სრულად საზღვრის მიღმა არსებულ პარტნიორ სკოლებში გამოყენებისთვის (სამუშაო უფლებებისა და პირობების შენარჩუნებით) ხელისშემშლელი სამართლებრივი და სხვა ბარიერების მოხსნა.
- VIII. შესაბამისი ხელისუფლებებისთვის და/ან საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საზღვრის მიღმა არსებულ პარტნიორ სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში მოსწავლეთა თუ სტუდენტთა მიერ მიღებული განათლების ნაწილის ოფიციალურად ცნობის შესაძლებლობა;
- IX. ადგილობრივ და რეგიონულ საკითხებში ჩართული სტრუქტურების ხელშეწყობა საზოგადოებას უფრო ფართოდ გააცნონ მეზობელი რეგიონების ენის, კულტურისა და საზოგადოების უკეთ ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება.

## **ბ. სასაზღვრო რეგიონებზე მიმართული ზომები**

- I. შესაბამისი ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების ყურადღების მიპყრობა სტრასბურგში ევროსაბჭოს ენის პოლიტიკის განყოფილების მიერ გრაზში ევროსაბჭოს თანამედროვე ენების ცენტრის 1.1.4. პროექტის (სასაზღვრო რეგიონებში მეზობელი ენების სწავლება) პატრონაჟის ქვეშ ენის სწავლების პოლიტიკაზე გამოცემულ დოკუმენტებს;
- II. მეზობელი ქვეყნების ენისა და კულტურის სწავლებისადმი მოქნილი და მრავალფეროვანი მიდგომის წახალისება, რაც სრულად გამოიყენებს მეზობელი ქვეყნის სიახლოვისა და პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობებს. მიზანი სწავლის არსებული ორიგინალური და მასტიმულირებელი ფორმების მაქსიმიაზაცია უნდა იყოს. ამ ფორმებს შორის არის ავტონომიური სწავლა (როცა ორივე ქვეყნის მოსწავლეები ერთმანეთის ენას ტანდემში სწავლობენ), მოკლევადიანი და ინტენსიური კურსები; გახანგრძლივებული ინდივიდუალური დასწრება საზღვრის მიღმა სკოლებში; ორენოვანი განათლება, როცა მეზობელი ქვეყნების მასწავლებლები სათანადო ენების შერწყმას მოახერხებენ. პირდაპირი კონტაქტები და გაცვლითი პროგრამები მეზობელ ქვეყნებს შორის უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითა (ICTs) და რესურსებით.
- III. სკოლებისა და კოლეჯების წახალისება დაამყარონ გრძელვადიანი პარტნიორობები, რაც მათ საშუალებას მისცემს პარტნიორი დაწესებულებების ინვენტარით, აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსებით ისარგებლონ და მათი ადგილობრივი კულტურისა და განსხვავებების შესახებ მეტი ცოდნა და პატივისცემა შეიძინონ და მეტ ურთიერთგაგებას მიაღწიონ. ასეთი პარტნიორობების შედეგად ახალი და

მოდულიზირებული კურსები შეიქმნება, რომლის კვალიფიკაციას ორივე ქვეყნა აღიარებს.

- IV. ევროპული ენათა პორტფელის ცნობისა და გამოყენების წახალისება და ამავე დროს საზღვრისპირა რეგიონების სფეროეფიური საჭიროებების დაშვება იმის უზრუნველსაყოფად რომ ენობრივი და კულტურული უნარ-ჩვევების შეფასება სანდო და გამჭვირვალეა, რაც წახალისებს მოქალაქეთა მობილობას.

### **ბ1. უმაღლეს განათლებასა და უნივერსიტეტებთან დაკავშირებული ზომები**

- I. უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების წახალისება წამოიწიონ უფრო სრულყოფილი კვლევები მთელი ევროპის მასშტაბით სასაზღვრო რეგიონების სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და შეაფასონ მათი შესაძლო გავლენა განათლებაზე და ორენოვნების, ორკულტუროვნებისა და ტრანსსასაზღვრო იდენტობის ფენომენებზე. ამ უნივერსიტეტების წახალისება შექმნან აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის ქსელები.
- II. სასაზღვრო რეგიონებში მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების მხარდაჭერა, უზრუნველყოფა რომ ეს მოიცავდეს მეზობელი ქვეყნების ენასა და კულტურას და საერთაშორისო ტრანსსასაზღვრო პროექტებს. სასურველია რომ სილაბუსების ეს ნაწილები მეზობელი ქვეყნების პროფესიული მომზადების დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელდეს, როლმდებამაც უნდა გაუკეთონ ორგანიზება თავიანთ ქვეყნებში განთავსებას. ეს ელემენტები უნდა შედიოდეს ასევე პედაგოგთა კოლექტივის პრაქტიკულ ტრენინგებში.

### **ბ2. საშუალო განათლებასთან დაკავშირებული ზომები**

- I. ყველა დონისა და ტიპის სკოლებს შორის ყველანაირი სახის ერთობლივი პროექტების წახალისება, სადაც მეზობელი ენები სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის ურთიერთგაცლის საკომუნიკაციო საშუალებაა, სადაც მოსწავლეთა შერეული ჯგუფები სპეციალურ დოკუმენტებსა და საბოლოო პროდუქტებს შექმნიან.
- II. საშუალო სკოლების წახალისება არსებულ თუ მომავალ პარტნიორობებში შეიტანონ ტრანსსასაზღვრო პროფორიენტაცია, რათა მოსწავლეებს ინფორმაცია მოაწოდონ, და თუ შესაძლებელია სტუმრობის ნება დართონ, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, სადაც ისინი სწავლის გაგრძელებას შეძლებენ მეორე ქვეყანაში სამუშაო კვალიფიკაციის მოპოვებასთან ერთად

### **ბ3. დაწყებით და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ზომები**

- I. ბავშვებისთვის სხვების კულტურის გასაცნობად და მათთვის ამ ენების სწავლისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობის მისაცემად მეზობელი ენების დაწყებითი განათლების დასაწყისშივე სწავლებისთვის პირობების შექმნა
- II. მეზობელი ენების სწავლის წახალისება და ხელშეწყობა ადრეულ ასაკში, სკოლამდელ ან ვოლუნტარისტული სექტორის კონტექსტში

### **ბ4. ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებული ზომები**

- I. ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება შეიმუშავონ თავიანთი სტუდენტების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო მეთოდოლოგია, ნახევრად უნარებზე, მაგალითად მოსმენილი საუბრის გაგებაზე ან ენათა ჩანაცვლებაზე (სადაც ერთი მოსაობრე ორივე ენას იყენებს) ორიენტირებული კურსები.
- II. ზრდასრულთა პროფესიულ გადამზადებაზე პასუხისმგებელი ან მასში ჩართული ადგილობრივი და რეგიონული დაწესებულებების, მაგალითად სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა და პროფესიული ასოციაციების დარწმუნება წახალისონ მენეჯერები და თანამშრომლები მეზობელი ქვეყნის ენისა და კულტურის გაკვეთილებს დაესწონ სასაზღვრო რეგიონების ტრანსსასაზღვრო პროფესიული თანამშრომლობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
- III. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების წახალისება ორგანიზება გაუკეთონ იმ სფეროებში მომუშავე თანამშრომლების ტრენინგების, სადაც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა არის ან გახდება აუცილებელი. ტრენინგი უნდა მოიცავდეს მათი ენობრივი და კულტურათაშორისი უნარ-ჩვევების განვითარებას, მეზობელი ქვეყნების ცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წარმატებისადმი მათი დაინტერესებისა და მათი კოლეგების ჩართულობის გაზრდას. იგივე ზომებია გასათვალისწინებელი ცენტრალური და დეცენტრალიზებული მთავრობების ადმინისტრაციული შტატისათვის, რომელიც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაშია ჩართული.

**ბ5. სასაზღვრო რეგიონებში აქტიური სოციო-კულტურული სტეიკჰოლდელებისკენ მიმართული ზომები**

- I. შესაბამისი ორგანიზაციების წახალისება ითანამშრომლონ მეზობელი რეგიონების კოლეგებთან სამუშაო ბაზრის მდგომარეობის შესწავლისა და ერთობლივი სტრატეგიებისა და ტრენინგების პროგრამების შემუშავების საკითხებში.
- II. მეზობელი ქვეყნების მედიისთვის თავიანთი პროდუქტის, მათ შორის პრესის, რადიო და სატელევიზიო პროგრამების გადაცემის ან გამოქვეყნების საშუალების მიცემა საზღვრის ორივე მხარეს.
- III. საერთო საზღვრის ორივე მხარეს მედიასაშუალებებს შორის თანამშრომლობის წახალისება ჟურნალისტთა გაცვლითი პროგრამებისა და ტრენინგების, მეზობელ ენაზე სტატიების გამქვეყნებისა და პროგრამების გადაცემის საშუალებით.
- IV. ტურიზმის ორგანიზაციებისა და მსგავსი სტრუქტურების წახალისება გაავრცელონ ინფორმაცია მეზობელ რეგიონებში კულტურის, სპორტისა თუ სხვა ღონისძიებების, მათ შორის კონკრეტულად ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი მუსიკისა და ცეკვის ფესტივალების შესახებ.

ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებსა და ასოციაციებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წახალისება ამ ორგანიზაციების ცოდნის, შესაძლებლობებისა და რესურსების შესაბამისი ერთობლივი ღონისძიებების განსახორციელებლად.